

371(077)

ს-703

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

სოსელია მიმოზა

სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის განვი-  
თარება ქართული ლიტერატურის სწავ-  
ლებისას ჰუმანიტარული ორიენტაციის  
კლასებში

13.00.02. – სწავლების მეთოდის

პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა კ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2003

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

სოსელია მიმოზა

სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის განვითარება ქართული ლიტერატურის სწავლებისას ჰუმანიტარული ორიენტაციის კლასებში

13.00.02. – სწავლების მეთოდика

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა კ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2003

- 5881 -

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

ოფიციალური ოპონენტები:

შოთა ქურდაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნესტან სულავე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ელადიშერ მინაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის 27.03.13 საათზე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკურ უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიკის დარგის სადისერტაციო PD.13.00.CN\*1 საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380079, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის 27.02

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციალა ლილაძე

### ნაშრომის ზოგადი დასასიათება

თემის აქტუალურობა: საზოგადოებრივი ცხოვრება, მასში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ყოველთვის აისახებოდა განათლების სასკოლო სისტემაში, მის აღმზრდელობისა თუ საგანმანათლებლო მიზნებსა და ამოცანებში.

უნიფიცირებული საბჭოური სკოლის მონოვარიანტული მოდელის რეალიზაციის პირობებში ძირითადი ამოცანა იყო "ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული" ახალგაზრდობის აღზრდა, რაც ხორციელდებოდა ინფორმაციის გადაცემაზე ორიენტირებული რეპროდუქციული სწავლების სისტემით. შესაბამისად, სკოლის პარადიგმა იყო: "მასწავლებელი - სახელმძღვანელო - მოსწავლე", სადაც მასწავლებელი და სახელმძღვანელო უზრუნველყოფდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ დაკვეთას. ამდენად, შედარებით უკანა პლანზე იდგა მოსწავლის ინდივიდუალური თვისებები, პიროვნული ინტერესები.

მეცნიერებისა და ტექნიკის უსწრაფესმა განვითარებამ, ინფორმაციის მოზღვავებამ აღნიშნულ კონტექსტში "ყოველმხრივ განვითარებული" ადამიანის აღზრდის თეორია, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ დააყენა და, როგორც მოქმედი საგანმანათლებლო სისტემის ანტირეაქცია, გასული საუკუნის 80-იან წლებში აღორძინდა დიფერენცირებული სწავლების ფორმა - პროფილირებული სწავლება. იგი ერთ-ერთი იმ სახეთაგანია, რომელიც თავის მუშაობას, სასწავლო შინაარსს და თვით სასწავლო პროცესს მოსწავლეთა ინტერესებზე და მიდრეკილებებზე აგებს<sup>1</sup>. გამოიკვეთა სასკოლო სისტემის ახალი ამოცანა - "ვასწავლოთ ცოტა და ღრმად", რაც ნიშნავდა თაობათა მიერ დაგროვილი ცოდნის მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების მიხედვით გადაცემა-შეთვისების უზრუნველყოფას.

დიფერენცირებული სწავლების სისტემაში მოსწავლის პიროვნებამ წინა პლანზე გადმოინაცვლა. იგი მოიაზრება არა როგორც სწავლების ობიექტი, არამედ - როგორც სწავლების სუბიექტი.

მოსწავლისადმი ინტერესის გამძაფრებას, სწავლებაში აქცენტების გადაადგილებამ ხელი შეუწყო საზოგადოების მიდრეკილებამ, არ იყოს ჩაკეტილი, იყოს გამჭვირვალე და "ღია".

არამარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც თვალსაჩინო გახდა სწავლების "დასავლური" (ძირითადად, ამერიკული) მოდელი. "კულ-

1. ლ. ჩიქვანაია. დიფერენცირებული სწავლების ძირითადი წინამძღვრები, "სკოლა და ცხოვრება", 1988. №9, გვ. 8.